

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №15
2017 წლის 18 აგვისტო

ქ. ქობულეთი

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“
ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №21 დადგენილებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ქობულეთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 29 დეკემბრის №21 დადგენილებაში (სსმ, 01.01.2017 წ., სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.131.016193) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ქობულეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სულხან ოქროპირიძე

თავი I

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

(ლარი)

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	25 106 249	23 310 495	1 795 754	33 412 115	31 931 015	1 481 100	32 670 753	32 670 753	-
გადასახადები	2 078 881	2 078 881	-	4 904 285	4 904 285	-	5 050 000	5 050 000	-
გრანტები	20 294 292	18 498 538	1 795 754	26 403 907	24 922 807	1 481 100	25 634 300	25 634 300	-
სხვა შემოსავლები	2 733 076	2 733 076	-	2 103 923	2 103 923	-	1 986 453	1 986 453	-
ხარჯები	14 097 842	13 691 705	406 137	14 684 918	14 684 238	680	12 884 947	12 884 947	-
შრომის ანაზღაურება	2 207 758	2 207 758	-	6 426 253	6 426 253	-	6 071 036	6 071 036	-
საქონელი და მომსახურება	2 741 735	2 741 020	715	3 240 391	3 240 391	-	4 308 558	4 308 558	-
პროცენტი	383 462	383 462	-	360 560	360 560	-	314 458	314 458	-
სუბსიდიები	6 517 103	6 517 103	-	515 694	515 694	-	509 101	509 101	-



გრანტები	587 050	587 050	-	250 000	250 000	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	964 443	964 443	-	1 527 328	1 527 328	-	815 507	815 507	-
სხვა ხარჯები	696 291	290 869	405 422	2 364 692	2 364 012	680	866 287	866 287	-
საოპერაციო სალდო	11 008 407	9 618 790	1 389 617	18 727 197	17 246 777	1 480 420	19 785 806	19 785 806	-
არაფინანსური აქტივების ცვლილება	15 738 359	14 348 742	1 389 617	18 534 145	17 314 161	1 219 984	21 120 110	20 859 674	260 436
ზრდა	15 924 926	14 535 309	1 389 617	18 595 277	17 375 293	1 219 984	21 120 110	20 859 674	260 436
კლება	186 567	186 567		61 132	61 132		-		
მთლიანი სალდო	-4 729 952	-4 729 952	-	193 052	-67 384	260 436,00	-1 334 304	-1 073 868	- 260 436
ფინანსური აქტივების ცვლილება	-5 240 048	-5 240 048	-	-743 900	-1 004 336	260 436,00	-2 162 727	-1 902 291	- 260 436
ზრდა	-	-	-	510 436	250 000	260 436	52 100,00	52 100	-
ვალუტა, დეპოზიტები	-			260 436		260 436	-		
აქციები და სხვა კაპიტალი				250 000	250 000		52 100	52 100	
კლება	5 240 048	5 240 048	-	1 254 336	1 254 336	-	2 214 827	1 954 391	260 436
ვალუტა, დეპოზიტები	5 240 048	5 240 048		1 254 336	1 254 336		2 214 827	1 954 391	260 436
ვალდებულებების ცვლილება	-510 096	-510 096	-	-936 952	-936 952	-	-828 423	-828 423	-
ზრდა	-			-			-		
კლება	510 096	510 096	-	936 952	936 952	-	828 423	828 423	-

მუხლი 2. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	25292816	23497062	1795754	33473247	31992147	1 481 100	32670753	32670753	-
შემოსავლები	25 106 249	23 310 495	1 795 754	33 412 115	31 931 015	1 481 100	32 670 753	32 670 753	-
არაფინანსური აქტივების კლება	186 567	186 567	-	61 132	61 132	-	-	-	-
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	-	-	-	-	-	-	-	-	-



ვალდებულებების ზრდა	-	-	-	-	-	-	-	-	-
გადასახდელები	30532864	28 737 110	1 795 754	34467147	33 246 482	1 220 664	34885580	34 625 144	260 436
ხარჯები	14 097 842	13 691 705	406 137	14 684 918	14 684 238	680	12 884 947	12 884 947	-
არაფინანსური აქტივების ზრდა	15 924 926	14 535 309	1 389 617	18 595 277	17 375 293	1 219 984	21 120 110	20 859 674	260 436
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	-			250 000	250 000		52 100	52 100	-
ვალდებულებების კლება	510 096	510 096	-	936 952	936 952	-	828 423	828 423	-
ნაშთის ცვლილება	-5240048	-5240048	-	-993900	-1254335	260 436	-2214827	-1954391	-260436

მუხლი 3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 32 670 753 ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის გეგმა			2017 წლის გეგმა		
	მათ შორის			მათ შორის			მათ შორის		
	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსავლები	25106249	23310495	1 795 754	33 412 115	31 931 015	1 481 100	32 670 753	32 670 753	-
გადასახადები	2 078 881	2 078 881	-	4 904 285	4 904 285	-	5 050 000	5 050 000	-
გრანტები	20 294 292	18 498 538	1 795 754	26 403 907	24 922 807	1 481 100	25 634 300	25 634 300	-
სხვა შემოსავლები	2 733 076	2 733 076	-	2 103 923	2 103 923	-	1 986 453	1 986 453	-

ა) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები 5 050 000 ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
გადასახადები	2 078 881	4 904 285	5 050 000
საშემოსავლო გადასახადი		1 031 767	1 150 000
ქონების გადასახადი	2 078 881	3 872 518	3 900 000
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1 022 194	2 071 895	3 545 500
უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	586 850	860 695	-
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	67 853	88 660	30 500



სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	60 561	63 464	40 000
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი	341 422	787 804	284 000

ბ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 25 634 300 ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
გრანტები	20 294 292	18498538	1795754	26 403 907	24 922 807	1 481 100	25 634 300	25 634 300	-
სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები	20 294 292	18 498 538	1 795 754	26 403 907	24 922 807	1 481 100	25 634 300	25 634 300	-
საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი გათანაბრებითი ტრანსფერი	7 198 700	7 198 700	-	5 868 400	5 868 400		4 894 300	4 894 300	-
სპეციალური ტრანსფერი	2 142 257	346 503	1 795 754	3 429 847	1 948 747	1 481 100	-	-	-
მ.შ. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი	1 795 754	-	1 795 754	1 481 100		1 481 100	-	-	-
მ.შ. აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი სპეციალური ტრანსფერი	346 503	346 503	-	1 948 747	1 948 747		-	-	-
კაპიტალური ტრანსფერი	10 953 335	10 953 335	-	17 105 660	17 105 660		20 740 000	20 740 000	-
აჭარის არ რესპუბლიკური ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერი	10 953 335	10 953 335	-	17 105 660	17 105 660		20 740 000	20 740 000	-

გ) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები



განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 1 986 453. ლარის ოდენობით.

დასახელება	2015 წლის ფაქტი	2016 წლის ფაქტი	2017 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	2 733 076	2 103 923	1 986 453
შემოსავლები საკუთრებიდან	1 085 398	648 496	526 061
პროცენტები	801 332	262 757	169 580
დეპოზიტებზე და ანგარიშებზე დარიცხული პროცენტები	801 332	262 757	169 580
რენტა	284 066	385 739	356 481
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	35 641	54 105	50 000
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	248 425	331 634	306 481
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	427 853	502 291	385 000
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	396 738	414 938	350 000
სანებართვო მოსაკრებელი	59 015	156 635	60 000
მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე	59 015	156 635	60 000
საჯარო ინფორმაციის ასლის გადაღების მოსაკრებელი	107	356	-
სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი	52 358	-	-
მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	285 259	257 947	290 000
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	31 115	87 353	35 000
შემოსავალი მომსახურების გაწევიდან	31 115	87 353	35 000
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	1 026 616	706 922	900 000
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	193 210	246 214	175 392
მ/შორის შემოსულობა გარე რეკლამის განთავსების ნებართვის გაცემიდან	193 210	246 214	175 392

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 12 884 947 ლარის ოდენობით თანადართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი		2016 წლის ფაქტი		2017 წლის გეგმა	
		მათ შორის		მათ შორის		მათ შორის



	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	სულ	საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
ხარჯები	14 097 843	13 691 706	406 137	14 684 918	14 684 238	680	12 884 947	12 884 947	-
შრომის ანაზღაურება	2 207 758	2 207 758	-	6 426 253	6 426 253	-	6 071 036	6 071 036	-
საქონელი და მომსახურება	2 741 736	2 741 021	715	3 240 392	3 240 392	-	4 308 558	4 308 558	-
პროცენტი	383 462	383 462	-	360 560	360 560	-	314 458	314 458	-
სუბსიდიები	6 517 103	6 517 103	-	515 694	515 694	-	509 101	509 101	-
გრანტები	587 050	587 050	-	250 000	250 000	-	-	-	-
სოციალური უზრუნველყოფა	964 443	964 443	-	1 527 328	1 527 328	-	815 507	815 507	-
სხვა ხარჯი	696 291	290 869	405 422	2 364 692	2 364 012	680	866 287	866 287	-

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 21 120 110 ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 21 120 110 ლარის ოდენობით თანადაართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავ ლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავ ლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავ ლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	16 186	16 186	-	56 331	56 331	-	7 218	7 218	-
თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	1 353	1 353	-	13 050	13 050	-	-	-	-
ინფრასტრუქტურის შენიშვნა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	12 842 330	11 452 713	1 389 617	15 599 124	14 379 139	1 219 984	18 734 405	18 473 969	260 436
განათლება	2 410 692	2 410 692	-	2 234 067	2 234 067	-	1 761 103	1 761 103	-
კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	652 365	652 365	-	690 370	690 370	-	607 997	607 997	-
მოსახლეობის									



განმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2 000	2 000	-	2 335	2 335	-	9 387	9 387	-
ჯამი	15 924 926	14 535 309	1 389 617	18 595 277	17 375 293	1 219 984	21 120 110	20 859 674	260 436

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 0 ლარის ოდენობით,

დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
არაფინანსური აქტივების კლება	186 567	186 567	-	61132	61132	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	186 567	186 567	-	61132	61132	-	-	-	-

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა **34 005 057** ფუნქციონალურ ჭრილში, თანადართული რედაქციით:

(ლარი)

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2015 წლის ფაქტი			2016 წლის ფაქტი			2017 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2 476 597	2 476 597	-	3 230 063	3 230 063	-	2 613 086	2 613 086	-
7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2 093 135	2 093 135	-	2 242 954	2 242 954	-	2 297 008	2 297 008	-
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1 938 726	1 938 726	-	2 055 204	2 055 204	-	1 958 285	1 958 285	-
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	154 409	154 409	-	187 750	187 750	-	338 723	338 723	-
7016	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	383 462	383 462	-	986 299	986 299	-	314 458	314 458	-
	სხვა არაკლასიფიცირებული									



7018	საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	-	-	-	810	810	-	1 620	1 620	-
702	თავდაცვა	112 540	112 540	-	127 049	127 049	-	107 484	107 484	-
7021	შეიარაღებული ძალები	112 540	112 540	-	127 049	127 049	-	107 484	107 484	-
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	651 545	651 545	-	-	-	-	-	-	-
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	651 545	651 545	-	-	-	-	-	-	-
704	ეკონომიკური საქმიანობა	3 731 907	3 731 907	-	4 673 176	4 673 176	-	9 290 746	9 290 746	-
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	3 223	3 223	-	9 948	9 948	-	2 125	2 125	-
70421	სოფლის მეურნეობა	3 223	3 223	-	9 948	9 948	-	2 125	2 125	-
7045	ტრანსპორტი	3 522 009	3 522 009	-	4 441 254	4 441 254	-	9 090 871	9 090 871	-
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	3 522 009	3 522 009	-	4 441 254	4 441 254	-	9 090 871	9 090 871	-
7049	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ეკონომიკის სფეროში	206 675	206 675	-	221 974	221 974	-	197 750	197 750	-
705	გარემოს დაცვა	5 248 377	5 248 377	-	3 535 950	3 535 950	-	5 160 415	5 160 415	-
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	1 436 443	1 436 443	-	1 486 539	1 486 539	-	2 897 135	2 897 135	-
7052	ჩამდინარე წყლების მართვა	3 811 934	3 811 934	-	2 049 411	2 049 411	-	2 263 280	2 263 280	-
706	საბინაო_კომუნალური მეურნეობა	7 429 627	6 039 295	1 390 332	12 012 941	10 792 276	1 220 664	8 987 465	8 727 029	260 436
7062	კომუნალური მეურნეობის განვითარება	1 239 046	1 239 046	-	2 264 639	2 264 639	-	1 499 941	1 499 941	-
7063	წყალმომარაგება	3 333 942	3 333 942	-	7 275 552	7 275 552	-	5 797 838	5 797 838	-
7064	გარე განათება	714 853	714 853	-	699 321	699 321	-	838 500	838 500	-
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	2 141 786	751 454	1 390 332	1 773 429	552 764	1 220 664	851 186	590 750	260 436
707	ჯანმრთელობის დაცვა	196 801	196 801	-	218 729	218 729	-	526 355	526 355	-
7076	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში	196 801	196 801	-	218 729	218 729	-	526 355	526 355	-
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	3 728 045	3 728 045	-	2 374 431	2 374 431	-	1 840 486	1 840 486	-
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	2 422 424	2 422 424	-	1 432 187	1 432 187	-	985 927	985 927	-
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	1 177 895	1 177 895	-	805 691	805 691	-	736 110	736 110	-



7086	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასვენების, კულტურისა და რელიგიის სფეროში	127 726	127 726	-	136 553	136 553	-	118 449	118 449	-
709	განათლება	5 090 665	5 090 665	-	5 145 447	5 145 447	-	4 993 153	4 993 153	-
7091	სკოლამდელი აღზრდა	1 963 763	1 963 763	-	2 232 246	2 232 246	-	2 560 000	2 560 000	-
7092	ზოგადი განათლება	3 169	3 169	-	-	-	-	-	-	-
70923	საშუალო ზოგადი განათლება	3 169	3 169	-	-	-	-	-	-	-
7098	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა განათლების სფეროში	3 123 733	3 123 733	-	2 913 201	2 913 201	-	2 433 153	2 433 153	-
710	სოციალური დაცვა	1 356 665	951 243	405 422	1 962 409	1 962 409	-	485 867	485 867	-
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიცირებას	179 996	179 996	-	132 750	132 750	-	190 617	190 617	-
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	1 176 669	771 247	405 422	1 829 659	1 829 659	-	295 250	295 250	-
	მთლიანი ხარჯები	30 022 769	28 227 015	1 795 754	33 280 195	32 059 531	1 220 664	34 005 057	33 744 621	260 436

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო - 1 334 304 ლარის ოდენობით.

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - 0 ლარის ოდენობით.

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება (-828 423) ლარის ოდენობით.

მუხლი 10. ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 204 000 ლარის ოდენობით და მისი განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის გამგებლის მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 11. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის და ჯანდაცვის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 12. სპორტული, კულტურული ღონისძიებები

სპორტულ, კულტურულ, პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00)

1.1. სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური (პროგრამული კოდი 02 01)



საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის ქობულეთის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა და რეზერვისტთა გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირებისა და გაწვევებთან დაკავშირებული ხარჯების უზრუნველყოფა.

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელი პირობაა მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება ქალაქის ქუჩების მოწყობა, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების რეაბილიტაცია, წყალმომარაგებისა და კანალიზაციის რეაბილიტაცია, მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1. საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებულ რეაბილიტირებულ ქუჩებში გადაადგილების უსაფრთხოებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის რეგულირება, მგზავრთა მუნიციპალური ტრანსპორტით გადაადგილების უზრუნველყოფა, გზებზე უსაფრთხო გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში ჩამოსული ტურისტებისათვის მიმზიდველი და კომფორტული გარემოს შექმნას და ქალაქის იერსახის გაუმჯობესებას.

2.1.1. ქუჩების, ქუჩებს შორის გადასასვლელების (მათ შორის ტროტუარებისა და ბორდიურების) კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებს ქალაქ ქობულეთში შიდა საქალაქო ქუჩების და ტროტუარების მოწყობას, ქუჩების მოასფალტებას, დეკორატიული ფილებით მოპირკეთებისა და სანიაღვრე სისტემის მოწესრიგების სამუშაოებს. კერძოდ დაგეგმილია: ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის ტროტუარების დარჩენილი ნაწილის მოწყობა, როგორცაა ვერულიძის ქუჩის გადაკვეთიდან აღმაშენებლის პირველი შესახვევის გადაკვეთამდე (მარჯვენა და მარცხენა მხარეს). დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის მოასფალტება და სანიაღვრე არხების მოწყობა – პროექტის I ეტაპი, რომლის ფარგლებში მოხდება ქ. ქობულეთში, სადგურიდან გორგილაძის ქუჩის კვეთამდე არსებული ამორტიზირებული სანიაღვრე სისტემის რეაბილიტაცია და ახალის მოწყობა, ასევე მოხდება დაზიანებული ასფალტის საფარის აღდგენა. ქვეპროგრამით აგრეთვე გათვალისწინებულია ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის ქუჩის ცენტრალურ სასაფლაომდე მისასვლელი გზის კეთილმოწყობის მე-2 ეტაპის სამუშაოები, რომლის ფარგლებში მოხდება რუსთაველის ქუჩის (სასაფლაოს უბნის) სავალი გზის სავალი ნაწილისა და ტროტუარების დეკორატიული ფილებით მოპირკეთება, მოეწყობა სანიაღვრე სისტემა. დაგეგმილია ქ. ქობულეთში, გელაურის უბნის კეთილმოწყობა, რომლის ფარგლებში მოხდება ვაჟა ფშაველას; პოპოვისა და პუშკინის ქუჩების მოწესრიგების სამუშაოები, გათვალისწინებულია ქალაქ ქობულეთში, სასაფლაოსთან აღმაშენებლის II შესახვევის რეაბილიტაცია, სადაც მოეწყობა ტროტუარები და სავალი გზის ნაწილი დეკორატიული ფილებით. დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში, რუსთაველის II შესახვევის კეთილმოწყობა, რუსთაველის ქუჩაზე (საჯარო რეესტრის, გაზკანტორის და ყოფილი სანდასუფთავების) შესასვლელების კეთილმოწყობა, რომლის ფარგლებშიც მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა; სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტო/ბეტონი, მოეწყობა ტროტუარი დეკორატიული ფილებით და შშმ პირებისთვის მოეწყობა პანდუსები და სპეციალური ბილიკი. ქვეპროგრამით დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ვიდეოკამერების შეძენა/მონტაჟი, რომლის ფარგლებშიც ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსდება სათვალთვალო ვიდეო კამერები, სექციური რადარები და ზოგადი ხედვის კამერები. დაგეგმილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აღმაშენებლის გამზირიდან თამარ მეფის სანაპირომდე გადასასვლელების კეთილმოწყობა კერძოდ: აღმაშენებლის გამზირის №660-ის მოპირდაპირედ, ეკო-პლიაჟის ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკების მოწყობა; აღმაშენებლის გამზირის №514-ის, №520-ის, №580-ის და №620-ის მოპირდაპირედ – განხორციელდება გადასასვლელების კეთილმოწყობა. ქვეპროგრამით დაგეგმილია ქ. ქობულეთში ნინოშვილის ქუჩის (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე) გადასასვლელის კეთილმოწყობა, რომლის ფარგლებშიც მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა, სავალი გზის სავალ ნაწილზე დაიგება დეკორატიული ფილები და ტროტუარები მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით. დაგეგმილია ქ. ქობულეთში აღმაშენებლის ჩიხი №786 ბ-ს მიმდებარედ (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე) გადასასვლელის კეთილმოწყობა, კერძოდ პროექტის ფარგლებში განხორციელდება სანიაღვრე სისტემის მოწესრიგების სამუშაოები, ტროტუარების მოპირკეთება დეკორატიული ფილებით და სავალი გზის სავალი ნაწილზე ასფალტო – ბეტონის საფარის მოწყობა. დაგეგმილია ქ. ქობულეთში აღმაშენებლის ჩიხი №644-ის მიმდებარედ (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩამდე) გადასასვლელის კეთილმოწყობის სამუშაოები,



სადაც მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა, ტროტუარები მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, ხოლო სავალი გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტო-ბეტონის საფარი. დაგეგმილია ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩებზე შეზღუდული შესაძლებლობების პირთათვის ტროტუარებთან მისასვლელი შემადგენლების მოწყობის სამუშაოები; ქვეპროგრამით დაგეგმილია ქ. ქობულეთში, გოგებაშვილის ქუჩის (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩაზე გადასასვლელის) კეთილმოწყობა. ქ. ქობულეთში, ჯინჭარაძის ქუჩის (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩაზე გადასასვლელის) კეთილმოწყობა. ქ. ქობულეთში, ლესელიძის ქუჩის (დარჩენილი ნაწილი, აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩაზე გადასასვლელი) კეთილმოწყობა. ქ. ქობულეთში, ტაბიძის ქუჩის (აღმაშენებლის ქუჩიდან რუსთაველის ქუჩაზე გადასასვლელის) კეთილმოწყობა. ქვეპროექტების ფარგლებში ხორციელდება არსებული ამორტიზირებული ფილების დემონტაჟი სამუშაოები, მოეწყობა სანიაღვრე სისტემა, ტროტუარი მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით და გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტო ბეტონის საფარი. ასევე მოეწყობა სიჩქარის შემზღუდავი ბარიერი. ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის ქ. №740 დან რუსთაველის ქუჩაზე გადასასვლელის კეთილმოწყობა, ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა სანიაღვრე სისტემა დასავალი გზის სავალ ნაწილზე დაიგება ასფალტო-ბეტონის საფარი. ქვეპროექტის ფარგლებში მოხდება დაბა ჩაქვში, რომპეტროლის მიმდებარედ და ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის №832-836 მიმდებარედ ტროტუარის მოწყობა დეკორატიული ფილებით, ხოლო ქ. ქობულეთში №307-ის მიმდებარედ მოეწყობა თამარ მეფის ქუჩაზე საფეხმავლო გადასასვლელი. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად შეიქმნება ხელმისაწვდომი გარემო შშმ პირებისათვის.

2.1.2. ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს ჯგებრისა, სანაპიროს სავალი ნაწილის რეაბილიტაცია-მშენებლობა (პროგრამული კოდი 03 01 02)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს თამარ მეფის სანაპიროზე დაზიანებული პარაპეტების აღდგენითი სამუშაოების ჩატარებას.

2.1.3. ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მოსაცდელის რეაბილიტაცია, ახალი მოსაცდელის მოწყობა (პროგრამული კოდი 03 01 04)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს ქალაქ ქობულეთში განსათავსებლად მეტალოკონსტრუქციის მოსაცდელის შეძენა-მონტაჟის სამუშაოებს, მეტალოკონსტრუქციის გამჭვირვალე მოსაცდელეები განთავსდება ქ. ქობულეთში აღმაშენებლის გამზირზე და ასევე ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში მოსაცდელის (სოფლებში 11 ერთეული ახალი და ერთი ერთეული არსებული მოსაცდელის და ქ. ქობულეთში მტს და კარიერის დაახლებაში აგურის მოსაცდელის (ორი ერთეული)) მოწყობა/რეაბილიტაცია კერძოდ: სოფელ წყავროკაში ერთი ერთეული ახალი მოსაცდელი, სოფელ ალამბარში ორი ერთეული მოსაცდელი, სოფელ ჭახათში ერთი ერთეული მოსაცდელი, სოფელ ხალაში ერთი ერთეული; სოფელ ჩაისუბანში ორი ერთეული; სოფელ ქვედა აჭყვაში ორი ერთეული და სოფელ გვარაში ორი ერთეული მოსაცდელის მოწყობა, სოფ. ქაქუთის ცენტრში კი არსებული მოსაცდელს ჩაუტარდება რეაბილიტაცია და ქ. ქობულეთში მტს და კარიერის დაახლებაში ახალი აგურის მოსაცდელეები მოეწყობა. ქვეპროექტით განხორციელდება აგრეთვე ქალაქ ქობულეთში მოსაცდელის ირგვლივ ბეტონის დეკორატიული ფილების მოწყობის სამუშაოები. ასევე ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოცადელების მოწყობა/რეაბილიტაციის სამუშაოები, შემდეგ სოფლებში: სოფ. კვირიკეში – 3 ახალი მოსაცდელი, სოფ. ხალაში – 2 მოსაცდელი; სოფ. ლეღვაში – 1 მოსაცდელი; სოფ. ბობოყვათში – 2 მოსაცდელი; სოფ. ხუცუბანში – 2 მოსაცდელი; სოფ. საჩინოში – 1 მოსაცდელი; დაბა ჩაქვში 1 აგურის მოსაცდელის მოწყობა და სოფელ ციხისძირში 1 აგურის მოსაცდელი მოწყობა, აღნიშნული სამუშაოებს.

2.1.4. მუნიციპალიტეტში გზების სამუშაოები (მათ შორის: ნაპირსამაგრი, საძირკვლების, ჯარგვალისა და ფერდსამაგრი სამუშაოები და მისასვლელი გზები, მდინარის კალაპოტების გასწორებაზოვნება,) (პროგრამული კოდი 03 01 05)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მდინარე დეხვასა და მდინარე კინტრიშის კალაპოტების გასწორებაზოვნების სამუშაოების ჩატარებას.

2.1.5. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსებით) მომსახურების პროგრამა (პროგრამული კოდი 03 01 06)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე (თემებში, სოფლებსა და ქალაქის ტერიტორიაზე) და ქალაქ ბათუმის მიმართულებით მგზავრთა გადაადგილების უზრუნველსაყოფად მუნიციპალური ტრანსპორტით, კერძოდ ავტობუსებით მომსახურების ხარჯების თანადაფინანსებას. აღნიშნული ქვეპროგრამა განხორციელდება შპს “ქობულეთის ტრანსრეგულირების” მიერ.



2.1.6. სასოფლო გზების მომანდაკების მიზნით ფრაქციული ღორღის შეძენა (პროგრამული კოდი 03 01 08)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სასოფლო გზების მოწესრიგებისათვის დაზიანებული საფარის მომანდაკების სამუშაოების ჩატარების მიზნით ფრაქციული ღორღის შეძენას.

2.2. კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვისა და ფასადის მოწესრიგების სამუშაოები, მუნიციპალიტეტის გარე განათების არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ყველა ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის ტერიტორიების დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა, ნაგავსაყრელი ტერიტორიის მოწესრიგება, წყალმომარაგების უზრუნველყოფისა და მოსახლეობაზე სასმელი წყლის მიწოდების გაუმჯობესების მიზნით განხორციელდება წყალსადენის სათავე ნაგებობების მშენებლობა და რეაბილიტაცია, მოწესრიგდება საკანალიზაციო სისტემები.

2.2.1. მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების და ეზოების მოწესრიგების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გადახურვის სამუშაოები, გადაიხურება 20 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი. კერძოდ: (ქ. ქობულეთში აღმაშენებლის ქ. №1, აბაშიძის №2 და №4 სახლები, ლტოლვილთა საცხოვრებელი სახლი, ყოფილი ჯარების შენობა, თავისუფლების ქუჩა №75 ში მდებარე, გელაურის დასახლებაში კაიკაციშვილის №11-ში მდებარე, სოფელ ზენითში ალამბრის მეურნეობის მრავალბინიანი სახლი, დაბა ოჩხამურში ტბელ აბუსერიძის №19, თამარ მეფის №1-ბ, ყაზბეგის №9, წერეთლის №3 და №8 სახლები, ხოლო ჯიხანჯურში- რუსთაველის ქუჩა №4-ში მდებარე სახლი; სოფ ციხისძირში №2-ა, №16 და №34-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლები, დაბა ჩაქვში აღმაშენებლის ქუჩა №12 და №27-ში მდებარე, ჩიხი №3 სახლი №4 მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების სახურავები. ქვეპროგრამით დაგეგმილია აგრეთვე ქ. ქობულეთში აბაშიძის ქ. №12-ში არსებულ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლის ფერდობისათვის პროფილირებული ფერადი თუნუქისა და სხვა მასალის შეძენა. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია დაბა ოჩხამურში, ქეთევან წამებულის №1 -ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა: გარდამავალი პროექტი. განხორციელდება ამორტიზირებული შენობის დემონტაჟის და ახალი შენობის მშენებლობის სამუშაოები, ხოლო მიმდინარე წელს განხორციელდება მხოლოდ არსებული ამორტიზირებული შენობის დემონტაჟის სამუშაოები, მოხდება საძირკვლისა და კოლონების მოწყობა.

2.2.2. გარე განათების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 02)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის, გარე განათების ქსელის განვითარებისა და არსებულის სრულყოფისათვის, ენერგიის დაზოგვისაკენ მიმართული ღონისძიებების დაწერვა და განათების თანამედროვე წყაროების, ეფექტური ოპტიკური სისტემების, კონსტრუქციებისა და მასალების გამოყენების დაწერვა. წლის განმავლობაში ღამით ქალაქში უსაფრთხოებისთვის ხელის შეწყობის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება გარე განათების არსებული ქსელის 4900 ზე მეტი წერტის ექსპლუატაცია, მოხმარებული ელექტროენერგიის ანაზღაურება. რაც ხელს შეუწყობს რეაბილიტირებულ გზებზე და შიდა კვარტალურ ეზოებში ქალაქის იერსახის შენარჩუნებას. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში მოეწყობა ეკონომიური გარე განათების წერტები ჩაქვის ცენტრიდან სასტუმრო ოაზისამდე და განხორციელდება გარე განათების სამუშაოები მის მიმდებარე ტერიტორიებზეც.

2.2.3. მუნიციპალიტეტის სანიტარული დასუფთავების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 03)

მუნიციპალიტეტის ერთერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს კეთილსაიმედო სანიტარული მდგომარეობის უზრუნველყოფა, შესაბამისად ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მაწანწალა ცხოველების დაჭერა, ტრანსპორტირება და დაჭერილი ცხოველების გაუნებელყოფა. გათვალისწინებულია სანდასუფთავებისათვის სპეც. ტექნიკის შეძენა (6 ერთეული), დაიგეგმა ლითონის, გალვანიზირებული ნაგავშემკრები კონტეინერების შეძენა, გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება და საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა, სისუფთავის და წესრიგის დაცვა, რასაც განახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის სანდასუფთავება. დაგეგმილია ჩოლოქის დასახლებაში არსებული ნაგავსაყრელისა და მიმდებარე ტერიტორიის რეაბილიტაცია.

2.2.4. გამწვანების ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 02 04)



ქვეპროგრამის ფარგლებში 2017 წელს გაგრძელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მწვანე საფარის და მათ შორის მარადმწვანე დეკორატიული მცენარეების მოვლა-პატრონობის სამუშაოები, რასაც ახორციელებს ა(ა)იპ ქობულეთის გამწვანება, პროგრამა დააფინანსებს მისი ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯს.

2.2.5. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 05)

ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მოსახლეობისათვის და არსებული ორგანიზაციებისათვის ეკოლოგიურად სუფთა, სასმელი წყლის 24-საათიანი მიწოდების რეჟიმით უზრუნველყოფა. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია: ქალაქ ქობულეთში ჩოლოქის დასახლებაში წყალსადენის სისტემის მოწყობის სამუშაოები; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის (მე-2 ეტაპი რეზერვუარისა და შიდა მაგისტრალის) მოწყობის სამუშაოები; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეღვას წყალსადენის სისტემის რეაბილიტაციის (II ეტაპი) სამუშაოები; სოფელ ციხისძირის წყალსადენზე დებეტის გაზრდის სამუშაოები; სოფელ დაგვას წყალსადენის სისტემის მოწყობის სამუშაოები; ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ საჩინოს თემში, ზედა აჭყვაში წყლის სათავე ნაგებობის, რეზერვუარისა და ცენტრალური მაგისტრალის რეაბილიტაცია (II ეტაპი). დაგეგმილია ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული სატუმბო სადგურებისათვის 7 ერთეული ტუმბოს შეძენა/მონტაჟი. ქვეპროგრამის ფარგლებში წყლის დებეტის გაზრდის მიზნით იგეგმება ქ. ქობულეთში წყალსადენის სათავე ნაგებობაზე ახალი ჭაბურღილების (ოთხი ერთეული) მოწყობა და დაბა ოჩხამურში ორი ერთეული სასმელი წყლის საქაჩი ტუმბოს მოწოდება-მონტაჟი. დაგეგმილია სოფელ ქვედა აჭყვაში არსებული წყლის რეზერვუარისათვის ფერდსამაგრი კედლის მოწყობა, ქალაქ ქობულეთში, აღმაშენებლის ქუჩიდან (№167-ის მიმდებარედ) თამარ მეფის ქუჩის გადასავლელზე წყალსადენის სისტემის მოწყობა. დაგეგმილია ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე სასმელი წყლის (სოკოებით) ფანტანის მოწყობის სამუშაოები. ასევე ქვეპროექტით დაგეგმილია სოფელ მუხაესტატეს წყალსადენის მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოები, პროექტი გულისხმობს წყალსადენის რეზერვუარიდან სოფლის გამანაწილებელ კვანძამდე წყალსადენის მაგისტრალური ხაზის შეცვლას და ასევე სოფელ ციხისძირის წყალსადენის მაგისტრალური ხაზის მოწყობის სამუშაოები; რომლის ფარგლებში მოხდება 5 კმ-მდე წყლის მაგისტრალური ხაზის შეცვლა, ხოლო მიმდინარე წელს მოხდება 2 კმ-მდე წყლის მაგისტრალური ხაზის შეცვლა. ქობულეთის მუნიციპალიტეტში არსებული წყალსადენებისათვის, ჩამირული ტუმბოს, სხვადასხვა დიამეტრის მილების და ფასონური ნაწილების შეძენა. ქვეპროგრამა ითვალისწინებს აჭარის წყლის ალიანსის“ საწესდებო კაპიტალის შენატანს.

ქვეპროგრამით დასრულდება წყალმომარაგების ის ინფრასტრუქტურული პროექტები რომლის დასრულებაც ვერ განხორციელდა 2016 წელს, კერძოდ: ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ხუცუბნის წყალსადენის სისტემის მოწყობა, ქაქუთის წყალსადენის სისტემის მოწყობა, ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩაისუბანში წყალსადენის სისტემის (პირველი ეტაპი სათავე ნაგებობისა და რეზერვუარის) მოწყობა, ქალაქ ქობულეთში თამარ მეფის სანაპიროს სასმელ-სამეურნეო წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია (წყლის სისტემის მოწყობა და გამრიცხველიანება).

ქვეპროგრამით გრძელდება ა(ა)იპ ქობულეთის სოფლის წყალის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯის დაფინანსება, რომელიც მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფს სოფლების წყლის სათავე ნაგებობებისა და შიდა გაყვანილობის მიმდინარე რემონტის სამუშაოების განხორციელებას, ამორტიზირებული წყლის მილების პერიოდულ შეცვლას, რაც პირველ რიგში დაკავშირებულია სოფლების ინფრასტრუქტურის სწრაფ განვითარებასთან და მოსახლეობის ცხოვრების კრიტერიუმების ცვლილებასთან.

ქვეპროგრამით გრძელდება შპს „ქობულეთის წყალის“ სუბსიდირება მოსახლეობის სასმელი წყლის მიწოდებისათვის მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის ხარჯის დაფარვის მიზნით.

2.2.6. სანიაღვრე არხებისა და საკანალიზაციო სისტემის მოწყობა- რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 02 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია: ქალაქ ქობულეთში, თამარ მეფის სანაპიროზე საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, აგრეთვე ქვეპროგრამით განხორციელდება ქალაქ ქობულეთში, კარიერის დასახლებაში საკანალიზაციო სისტემის და მისი ელემენტების სამშენებლო სამუშაოების (III ეტაპი) დაფინანსება. დაგეგმილია ქ. ქობულეთში კინტრიშის I სანაპიროს საკანალიზაციო ქსელის მოწყობა, რომლის ფარგლებში განხორციელდება ახალი საკანალიზაციო სისტემის მოწყობა და დაერთება გელაურში არსებულ სატუმბო სადგურზე. ასევე პროექტის ფარგლებში მოხდება ამორტიზირებული შიდა საკანალიზაციო მაგისტრალის შეცვლა და მიმღები ჭების მოწყობა, რომლის დაერთება მოხდება ცენტრალურ მაგისტრალზე; კერძოდ: ქ. ქობულეთში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების (კომახიძის №15, №13; აღმაშენებლის №1, №116, რუსთაველის №140, №140ა, №140ბ (კორპუსი 1, 2, 3), №160ა, 162გ; აბაშიძის №2, №4, №6) ეზოებში. ქალაქ



ქობულეთში "მტს" დასახლებაში (კლდიაშვილის ქუჩაზე დარჩენილი ნაწილის) ახალი საკანალიზაციო სისტემის მოწყობა, დაგეგმილია ქ. ქობულეთში ლერმონტოვის ქუჩაზე სანიაღვრე არხის მოწყობისა და ქ. ქობულეთში მემედ აბაშიძის №82 -ის მიმდებარედ ღია სანიაღვრე არხის შეცვლა დახურული სანიაღვრე სისტემით და დაბა ჩაქვი, ბეთანიძის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობას, ქვეპროგრამა ითვალისწინებს დაბა ჩაქვი, ბათუმის ქუჩა №18-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის საკანალიზაციო შამბოს მოწყობის სამუშაოებს, პროექტის ფარგლებში მოხდება ხუთსართულიანი საცხოვრებელი სახლისათვის საკანალიზაციო შამბოს მოწყობა და დაბა ჩაქვი, ბათუმის ქუჩაზე სანიაღვრე სისტემის მოწყობის სამუშაოებს პროექტის ფარგლებში მოხდება 200 მ სანიაღვრე სისტემის შეცვლა და სათვალთვალო მიმღები ჭების მოწყობა;

2.3. მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობითი ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების კეთილმოწყობითი სამუშაოები და მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები.

2.3.1. სკვერებისა, პარკებისა და მოედნების კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ქალაქ ქობულეთში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სკვერების რეაბილიტაცია კერძოდ: ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სკვერების რეაბილიტაცია (9 აპრილის, აღმაშენებლის №290-ის მოპირდაპირედ, ლესელიძის ქუჩის) და ახალი სკვერის (აღმაშენებლის გამზირი 700-ის მოპირდაპირედ) მოწყობა. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქ. ქობულეთში, აღმაშენებლის ქ. №99-ში მდებარე არსებული სკვერის რეაბილიტაცია, არსებულ სკვერში მოხდება ბილიკების მოწყობა დეკორატიული ფილებით; შეიცვლება ბორდიურები; მოეწყობა მწვანე საფარი და რეაბილიტაცია ჩაუტარდება სკვერში განლაგებულ სკამებს, ასევე ქვეპროგრამა ითვალისწინებს სოფელ მუხაესტატეში არსებულ სკვერში საბავშვო ატრაქციონების მოწყობა და დაბა ჩაქვი, მე-7 რაიონში საბავშვო ატრაქციონების და მიმდებარე ტერიტორია მოეწყობა მწვანე საფარით და მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, თამარ მეფის სანაპიროზე და არსებული სკვერებისათვის საპარკე სკამების შეძენა .

2.3.2. მუნიციპალიტეტის შენობა-ნაგებობების სარემონტო და კეთილმოწყობითი სამუშაოები (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება: ქ. ქობულეთში რუსთაველის ქ. №26-ში მდებარე შენობის (მუნიციპალური უფასო სასადილო) სარეაბილიტაციო სამუშაოები, დაგეგმილია შენობის შიგნით ტიხრების მოწყობა, მოხდება სველი წერტილების რეაბილიტაცია; კერამიკული ფილების მოწყობა და ნაწილობრივ შეიცვლება კარ-ფანჯრები; ასევე დაგეგმილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საპირფარეშოების და ამბულატორიის შენობის (სოფელ ბობოყვათში) რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება არსებულ საპირფარეშოებს; შეიცვლება წყალ-გაყვანილობა, ხოლო ამბულატორიის შენობაში მოწესრიგდება სველი წერტილები, ასევე დაგეგმილია სამღებრო სამუშაოების ჩატარება. ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში ოთახების სარემონტო სამუშაოები. ქვეპროექტით დაგეგმილია ქალაქ ქობულეთში სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობა, პროექტი გულისხმობს თანამედროვე ტიპის სასწრაფო სამედიცინო დახმარების ცენტრის შენობის მშენებლობას.

2.3.3. ქ. ქობულეთში თავისუფლების ქუჩაზე ლტოლვილთა საერთო საცხოვრებელი სახლის ეზოს კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოწესრიგდება ქ.ქობულეთში თავისუფლების ქუჩაზე ლტოლვილთა საერთო საცხოვრებელი სახლის ეზოს სანიაღვრე სისტემა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზო მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით, სამუშაოები.

2.3.4. სოფელ ხუცუბანში, შემფუთვი ქარხნისა და ყოფილი ჩაის ფაბრიკის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოების კეთილმოწყობა (პროგრამული კოდი 03 03 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში მოწესრიგდება სოფელ ხუცუბანში, შემფუთვი ქარხნისა და ყოფილი ჩაის ფაბრიკის მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოები, მოწესრიგდება სანიაღვრე სისტემა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზო მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით;

2.4. საპროექტო -სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა (პროგრამული კოდი 03 04)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება საპროექტო – სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციების შედგენა. აგრეთვე დასრულდება 2016 წლის გარდამავალი ღონისძიებაც.

2.5. ინფრასტრუქტურის ობიექტების აღდგენა-რეაბილიტაცია კეთილმოწყობა (სოფლის მხარდაჭერის პროგრამა) (პროგრამული კოდი 03 05)

ქვეპროგრამით დასრულდება ინფრასტრუქტურული პროექტი რომლის დასრულებაც ვერ განხორციელდა 2016 წელს, კერძოდ ქობულეთის მუნიციპალიტეტში ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები.

2.6. საცხოვრებელი ბინების სადეზინფექციო ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 06)

მუნიციპალიტეტში სხვადასხვა ინფექციური დაავადებების მინიმუმამდე დაყვანის მიზნით აუცილებელია ისეთი პრევენციული ღონისძიებების გატარება როგორცაა სადერატიზაციო და სადეზინფექციო სამუშაოების ჩატარება.

2.7. აზომვითი ნახაზების შედგენის ხარჯი (პროგრამული კოდი 03 07)

მუნიციპალიტეტში არსებული შენობა-ნაგებობების, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, ხაზობრივ ნაგებობების აზომვითი ნახაზების მომზადება და მისი შემდგომი მუნიციპალურ საკუთრებად დარეგისტრირება ხელს შეუწყობს არსებული ქონების მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში განკარგვას.

2.8. სხვადასხვა სანიტარულ-ჰიგიენური და ლაბორატორიული გამოკვლევების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 08)

ტურიტული სეზონის დადგომამდე და სეზონის განმავლობაში აუცილებელი ხდება, ტურისტულ ობიექტებში გარემო ზემოქმედების ფაქტორებისა და მიკროკლიმატის მაჩვენებლების, კვების ბლოკების მდგომარეობის მოქმედ სანიტარულ მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა.

2.9. „მცირე კავკასიის ალიანსების აჭარის პროგრამის“ ქობულეთის მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობა (პროგრამული კოდი 03 10)

მუნიციპალიტეტში პირუტყვის დაავადების მონიტორინგისა და კატასტროფების, დავაადებების რისკის შემცირებისა და გენდერული თანასწორობის დანერგვის მიმართულებით მუნიციპალიტეტი ვალდებულია იღებს უზრუნველყოფის ერთობლივი პროექტის თანადაფინანსება და ამ მიზნით გაიღებს სამუშაო ჯგუფის მუშაობის ხელშეწყობისა და ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯებს. პროგრამა დაიწყო 2015 წელს და დასრულდება 2017 წლის მარტის თვეში. ქვეპროგრამა აგრეთვე ითვალისწინებს თანახმად ხელშეკრულებისა 2016 წლის პროგრამის „ქალთა ოთახის“ პროგრამის ფარგლებში თანამშრომლის დაქირავების ხარჯებს.

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებშიც განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, ინვენტარით უზრუნველყოფა და ახალი ბაღების ფუნქციონირება.

3.1. სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს სკოლამდელი განათლება წარმოადგენს რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია.

3.1.1. ა(ა)იპ ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01 01)

მუნიციპალიტეტში იფუნქციონირებს საბავშვო ბაღები, სადაც სკოლამდელ აღზრდა-განათლებას მიიღებს 2700 ზე მეტი ბავშვი. მოქმედი კანონმდებლობის გათვალისწინებით ქვეპროგრამა მოიცავს ბაღების სასწავლო-აღმზრდელობითი მომსახურების და კვებითი მომსახურების ხარჯების სრულ დაფინანსებას და ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა სხვა დანარჩენ ხარჯს.

3.1.2. საბავშვო ბაღების მშენებლობა, რეაბილიტაცია, ინვენტარით უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 04 01 02)



- პროგრამით გათვალისწინებულია ბაღების განტვირთვის მიზნით ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა: სოფელ ჩაისუბანში საბავშვო ბაღის მოწყობა, აჭყვისთავის საბავშვო ბაღის მოწყობა და ქალაქ ქობულეთში, ფიჭვნარში, საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობა, პროექტის ფარგლებში მოხდება ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება, კერძოდ ბაღის ეზო მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით და მწვანე ზოლით, სადაც განთავსდება საბავშვო ატრაქციოები. ქვეპროგრამით გათვალისწინებულია ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ ცეცხლაურისა და სოფელ დაგვას საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოების ჩატარება, კერძოდ ბაღის ეზო მოპირკეთდება დეკორატიული ფილებით და მწვანე ზოლით, სადაც განთავსდება საბავშვო ატრაქციოები და შემოიღობება. დაგეგმილია დაბა ჩაქვში აღმაშენებლის №28-სა და გელაურის დასახლებაში არსებული საბავშვო ბაღის გაზიფიცირება. სოფელ წყავროკაში ახალი საბავშვო ბაღის მოწყობა – პროექტის ფარგლებში მოეწყობა თანამედროვე ტიპის 2 სართულიანი საბავშვო ბაღი, (105 ბავშვზე). ასევე განხორციელდება ბაღის ეზოს კეთილმოწყობის სამუშაოები. მიმდინარე წელს ჩატარდება დემონჟანის და მონტაჟის სამუშაოები; მოეწყობა შენობის საძირკველი; დაისხმება ნულოვანი ფილა. ასევე მოეწყობა სანიაღვრე სისტემა და ფერდსამაგრი კედელი. მიმდინარე წელს ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ბაღებში (სულ 22 ერთეული) (სამხარეულოს და პროდუქტების შესანახის სათავსოს) სარემონტო სამუშაოები, პროგრამის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ 22 ბაღში სამხარეულოს და პროდუქტების შესანახის სათავსოს. ქვეპროგრამით დასრულდება ის ინფრასტრუქტურული პროექტი რომლის დასრულებაც ვერ განხორციელდა 2016 წელს, კერძოდ დაგვას საბავშვო ბაღის მოწყობა.

4. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შესძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება.

4.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2017 წლის განმავლობაში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და დაფინანსდება:

- სარაგბო საკლუბო გუნდი „პონტო“ მატერიალური მხარდაჭერის მიზნით.
- ა(ა)იპ „ფრენბურთის, ხელბურთის, კალაძურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი-ქობულეთი“.
- ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა.

4.1.1. ა(ა)იპ ქობულეთის კომპლექსური სასპორტო სკოლა (პროგრამული კოდი 05 01 01)

სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი წრეები: თავისუფალი ჭიდაობა, ძიუდო, ძალოსნობა, ველოსპორტი, რაგბი, ჭადრაკი, ფეხბურთი (გოგონათა და ჭაბუკთა). ტარდება შიდა სასკოლო და ამხანაგური შეხვედრები. წლის განმავლობაში სკოლის ჯგუფებში მოსწავლეთა მომზადების ღონის შემოწმების და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის და საქართველოს ეროვნულ ნაკრებ გუნდებში წარმატებული სპორტსმენების გამოვლენის მიზნით სასპორტო სკოლა მონაწილეობას ღებულობს საოლქო და რესპუბლიკურ სპორტულ ღონისძიებებში.

4.1.2. სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება-პოპულარიზაცია და ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ უზრუნველყონ სპორტსმენების განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერ სპორტსმენტა წახალისება. გაგრძელდება სხვადასხვა სპორტული პროექტების მხარდაჭერაც.

4.1.3. სპორტული საკლუბო გუნდის მხარდაჭერა (პროგრამული კოდი 05 01 03)



ქვეპროგრამა ითვალისწინებს მხარდაჭერის ფარგლებში სარაგბო კლუბის დაფინანსებას. კერძოდ სარაგბო კლუბი “პონტოს“ მხარდაჭერის პროგრამა ითვალისწინებს სხვადასხვა ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ტრანსპორტირების დაფინანსებას, სპორტულ თამაშებში მონაწილეობის ხელშეწყობას სხვადასხვა მიმართულებებით, აგრეთვე გუნდის ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს.

4.1.4. სპორტული მოედნების მოწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება დაბა ჩაქვში (აჭარის ქუჩაზე და აღმაშენებლის №38-ის მიმდებარედ) არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებში შემოიღობება, მოეწყობა ხელოვნური მწვანე საფარი და გარე განათება. ქვეპროგრამით დაგეგმილია სოფელ ქაქუთში სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები, მოედნის შემოღობვა და ნაწილობრივ ბუნებრივი მწვანე საფარის შეცვლა და ქ. ქობულეთში ჩოლოქის დასახლებაში არსებული სათამაშო მოედნისა და არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, რომლის ფარგლებში მოხდება არსებულ მოედნის შემოღობვა და ბავშვთა სათამაშო მოედანზე ხელოვნური საფარის შეცვლა. სოფელ გვარაში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია. მოხდება არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სპორტული მოედნის გაფართოება, შეიცვლება სექციები; მოეწყობა ახალი ხელოვნური საფარი და დამონტაჟდება განათების სისტემა. სოფელ საჩინოში და ზედა აჭყვაში არსებული სპორტული მოედნების რეაბილიტაცია-პროექტი გულისხმობს არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაციას, რომლის ფარგლებში მოხდება სექციების შეცვლა, ახალი ხელოვნური საფარის და განათების სისტემის მოწყობა. სოფელ ხალაში სპორტული მოედნის მოწყობა. პროექტის ფარგლებში მოეწყობა ახალი სპორტული მოედანი, სოფელ ქობულეთში არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია. მოხდება არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია, სპორტული მოედნის გაფართოება, შეიცვლება სექციები; მოეწყობა ახალი ხელოვნური საფარი და დამონტაჟდება განათების სისტემა. ქ. ქობულეთში გელაურის დასახლება, ჰაიდარ აბაშიძის ქუჩაზე სპორტული მოედნის მოწყობის სამუშაოები – მოეწყობა ახალი სპორტული მოედანი, რომელიც შემოიღობება, მოეწყობა ხელოვნური მწვანე საფარი, დამონტაჟდება განათების სისტემა. სოფელ შუაღელეში სპორტული მოედნის მოწყობა, მოეწყობა ახალი სპორტული მოედანი, რომელიც შემოიღობება, მოეწყობა ხელოვნური მწვანე საფარი, დამონტაჟდება განათების სისტემა.

4.1.5. ა(ა)იპ „ფრენბურთის, ხელბურთის, კალათბურთის სათამაშო სახეობების სპორტული კლუბი-ქობულეთი“ (პროგრამული კოდი 05 01 06)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა ხარჯების დაფინანსება.

4.1.6. შპს „საფეხბურთო კლუბი შუქურა“ (პროგრამული კოდი 05 01 08)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული აღნიშნული შპს „საფეხბურთო კლუბი შუქურა“ სათვის ფინანსური აქტივის ზრდა.

4.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები.

4.2.1. ა(ა)იპ სკოლისგარეშე სახელოვნებო საგანმანათლებლო დაწესებულება ქობულეთის სახელოვნებო სკოლა (პროგრამული კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტი დააფინანსებს 2017 წლის პროგრამის ფარგლებში სახელოვნებო სკოლის ფუნქციონირებისათვის საჭირო ყველა აუცილებელ ხარჯს. სადაც გაერთიანებულია სოფლების ხუცუბნისა და ბობოყვათის, დაბა ჩაქვისა და ქ. ქობულეთის სკოლები.

4.2.2. ა(ა)იპ ქობულეთის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 02)

